პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 23 თებერვალი, 1945 წ. № 38 (7253). ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს გმირი წითელი არმიის სახელოვან XXVII წლისთავს!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით—წინ, ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურებისათვის, ჩვენი სამართლიანი საქმის სრული გამარჯვებისათვის!

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა

1945 წლის 23 თებერვალი № 5 ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო! დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ წითელი არმიის არსებობის 27-ე წლისთავს.

დიდი ლენინის მიერ უცხოელ დამპყრობთა თავდასხმისაგან ჩვენი სამშობლოს დასაცავად შექმნილმა და ბოლშევიკური პარტიის მიერ გამოზრდილმა წითელმა არმიამ თავისი განვითარების სახელოვანი გზა განვლო. მან ღირსეულად გაამართლა თავისი ისტორიული დანიშნულება და სამართლიანად ითვლება საბჭოთა ხალხის საყვარელ პირმშოდ. სამოქალაქო ომის წლებში წითელმა არმიამ მრავალრიცხოვანი მტრებისაგან დაიცვა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო. გერმანელთა შემოსევის წინააღმდეგ სამამულო ომის დიდ ბრძოლებში წითელმა არმიამ საბჭოთა კავშირის ხალხები იხსნა გერმანულ-ფაშისტური მონობისაგან, დაიცვა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა და დაეხმარა ევროპის ხალხებს გერმანიის უღლის დამხობაში.

წითელი არმიის 27-ე წლისთავს ჩვენ ახლა ვეგებებით მტერზე ახალ ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში. წითელმა არმიამ არა მარტო გაათავისუფლა ჰიტლერული სიბილწისაგან მშობლიური მიწა-წყალი, არამედ მრავალი ასეული კილომეტრითაც უკუაგდო მტერი იმ ზღუდეებიდან, რომლებიდანაც გერმანელები ავაზაკურად დაესხნენ თავს ჩვენს ქვეყანას, ომი გადაიტანა გერმანიის ტერიტორიაზე და ახლა ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად წარმატებით ამთავრებს გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმეს.

ამა წლის იანვარში წითელმა არმიამ მტერს თავს დაატეხა უმაგალითო ძალის დარტყმა მთელს ფრონტზე ბალტიკიდან კარპატის მთებამდე. მან 1.200 კილომეტრ სიგრძეზე შემუსრა გერმანელთა მძლავრი თავდაცვა, რომელსაც ისინი მთელი რიგი წლების განმავლობაში ჰქმნიდნენ. შეტევის მსვლელობაში წითელმა არმიამ სწრაფი და უნარიანი მოქმედებით მტერი უკუაგდო შორს დასავლეთისაკენ. საბჭოთა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლებით წაიწიეს წინ აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებიდან ვისლის ქვემო წელამდე—270 კილომეტრით, ვისლაზე მდებარე პლაცდარმიდან ვარშავის სამხრეთით მდინარე ოდერის ქვემოწელამდე — 570 კილომეტრით, სანდომირის პლაცდარმიდან გერმანული სილეზიის სიღრმეში—480 კილომეტრით.

ჩვენი ზამთრის შეტევის წარმატებებმა უწინარეს ყოვლისა ის გამოიწვიეს, რომ ჩაჰფუშეს დასავლეთში გერმანელთა ზამთრის შეტევა, რასაც მიზნად ჰქონდა ბელგიისა და ელზასის დაპყრობა, და საშუალება მისცეს ჩვენი მოკავშირეების არმიებს თავის მხრივ შეტევაზე გადასულიყვნენ გერმანელთა წინააღმდეგ და მით თავიანთი შეტევითი ოპერაციები დასავლეთში შეეთანხმებინათ წითელი არმიის შეტევითი ოპერაციებისათვის აღმოსავლეთში.

1945 წლის იანვარ-თებერვალში 40 დღის შეტევის მანძილზე ჩვენმა ჯარებმა გერმანელები განდევნეს 300 ქალაქიდან, ხელთ იგდეს 100-მდე სამხედრო ქარხანა, რომლებიც ამზადებენ ტანკებს, თვითმფრინავებს, საჭურველსა და საომარ მასალას, დაიკავეს 2.400-ზე მეტი სარკინიგზო სადგური, ხელთ იგდეს 15.000 კილომეტრზე მეტი სიგრძის რკინიგზების ქსელი. ამ მოკლე ხნის განმავლობაში გერმანიამ დაჰკარგა 350.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვეთა სახით და სულ მცირე 800.000 მოკლულთა სახით. ამავე პერიოდში წითელმა არმიამ მოსპო და ხელთ იგდო გერმანელთა დაახლოებით 3.000 თვითმფრინავი, 4.500-ზე მეტი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, სულ მცირე 12.000 ქვემეხი.

ამის შედეგად წითელმა არმიამ მთლიანად გაათავისუფლა პოლონეთი და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაიკავა ბუდაპეშტი და ომიდან გამოიყვანა გერმანიის უკანასკნელი მოკავშირე ევროპაში — უნგრეთი, დაიკავა აღმოსავლეთ პრუსიისა და გერმანული სილეზიის უმეტესი ნაწილი და გზა გაიკაფა ბრანდენბურგში, პომერანიაში, ბერლინის მისადგომებისაკენ.

ჰიტლერელები იკვეხნიდნენ, რომ ას წელზე მეტია მტრის არც ერთი ჯარისკაცი გერმანიის ფარგლებში არ ყოფილა და რომ გერმანიის არმია ომობდა და იომებს მხოლოდ სხვათა მიწა-წყალზე. ახლა გერმანელთა ამ ტრაბახს ბოლო მოეღო.

ჩვენმა ზამთრის შეტევამ დაგვანახვა, რომ წითელი არმია პოულობს ახალ და ახალ ძალებს სულ უფრო რთული და ძნელი ამოცანების გადასაჭრელად. მისმა სახელოვანმა მეომრებმა ახლა ისწავლეს მტრის განადგურება და მოსპობა თანამედროვე სამხედრო მეცნიერების ყველა წესის მიხედვით. თავიანთი დიადი განმათავისუფლებელი მისიის შეგნებით აღფრთოვანებული ჩვენი მებრძოლები გვიჩვენებენ გმირობისა და თავდადების სასწაულებს, უნარიანად ახამებენ მამაცობასა და შემართებას ბრძოლაში თავისი იარაღის ძალისა და ძლიერების სრულ გამოყენებასთან.

წითელი არმიის გენერლები და ოფიცრები ოსტატურად უხამებენ მძლავრი ტექნიკის მასირებულ დარტყმებს ოსტატურსა და სწრაფ მანევრს. ომის მეოთხე წელს წითელი არმია უფრო მტკიცე და ძლიერი გახდა, ვიდრე ოდესმე იყო, მისი საბრძოლო ტექნიკა კიდევ უფრო სრულყოფილი, ხოლო საბრძოლო ოსტატობა ბევრად უფრო მაღალი გახდა.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო! ახლა გერმანელებზე სრული გამარჯვება ახლოა. მაგრამ გამარჯვება არასოდეს არ მოდის თავის თავად — იგი მძიმე ბრძოლებში, შეუპოვარ შრომაში მოიპოვება. განწირულ მტერს ბრძოლაში გამოჰყავს უკანასკნელი ძალები, სასოწარკვეთით გვიწევს წინააღმდეგობას, რათა თავიდან აიცილოს მკაცრი შურისგება. იგი ებღაუჭება და კვლავაც ჩაებღაუჭება ბრძოლის უაღრესად უკიდურეს და საზიზღარ საშუალებებს. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რაც უფრო ახლოა გამარჯვება, მით უფრო დიდი უნდა იყოს ჩვენი სიფხიზლე, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს ჩვენი დარტყმები მტრისადმი.

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით თქვენ და გილოცავთ წითელი არმიის 27-ე წლისთავს!

საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ გასული წლის განმავლობაში მოპოვებულ დიად გამარჯვებათა აღსანიშნავად,—

ვბრძანებ:

დღეს, 23 თებერვალს, წითელი არმიის 27-ე წლისთავის დღეს 20 საათზე მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, პეტროზავოდსკში, ტალინში, რიგაში, ვილნიუსში, კიშინიოვში, თბილისში, სტალინგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, ლვოვში.

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა

### ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის
### ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ბოგოლიუბოვს

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დღეს, 21 თებერვალს, ბრძოლით დაიკავეს ქალაქი ჩერსკი — კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი პოლონეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

ქალაქ ჩერსკის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ბრიშინის, გენერალ-მაიორ კინოსიანის, გენერალ-ლეიტენანტ ტერენტიევის, გენერალ-მაიორ სმირნოვის, გენერალ-მაიორ ლიასკინის, გენერალ-მაიორ კირილოვის, გენერალ-მაიორ კონონენკოს, გენერალ-მაიორ სუპრუნოვის, გენერალ-მაიორ კრასნოშტანოვის, პოლკოვნიკ ბორიჩევის, პოლკოვნიკ პაჩკოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ რაზინცევის, არტილერიის გენერალ-მაიორ მალოფეევის, პოლკოვნიკ კოროლევის, პოლკოვნიკ ვასილენკოს, პოლკოვნიკ ტიურინის, პოლკოვნიკ შლეპინის, პოდპოლკოვნიკ ანიშკინის არტილერისტებმა; პოლკოვნიკ იუდინის, პოდპოლკოვნიკ სლობოდიანის, პოდპოლკოვნიკ პოვაროვის, მაიორ პრუსევიჩის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ვერშინინის, პოლკოვნიკ კალუგინის, პოლკოვნიკ ვინოგრადოვის მფრინავებმა; პოლკოვნიკ ტრეტიაკოვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ნოვარჩუკის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ჩერსკის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 21 თებერვალს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდათოხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ჩერსკი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ ჩერსკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1945 წლის 21 თებერვალი. № 283.



მხატვარ ი. ქოქიაშვილის ნახატი.

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
## 21 თებერვლის ოპერატიული ცნობა

21 თებერვლის განმავლობაში ზემლანდის ნახევარკუნძულზე, კენიგსბერგის დასავლეთით, ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს, რომელიც ცდილობდა კენიგსბერგიდან გაჭრილიყო პილაუს მიმართულებით, და შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დასტოვეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ამავე დროს კენიგსბერგის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა შეავიწროეს მოწინააღმდეგის აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფების გარშემორტყმის რკალი და ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები შვენგელსი, მაგენი, აუგამი, ვოლშინენი, ბლუმშტაინი, პეტერსვალდე, ხოგენდორფი, შტრაუზენდორფი, შენდამერაუ. 20 თებერვლის ბრძოლებში კენიგსბერგის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 60 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, 21 თებერვალს ბრძოლით დაიკავეს ქალაქი ჩერსკი — კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი პოლონეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ეზევიცი, ნიხტსფელდე, პესკერფელდე, კირხენიანი, ოსიკი, ოციპელი, შენბერგი.

ბრანდენბურგის პროვინციაში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით დაიკავეს ქალაქები პფერტენი, პრიბუსი, აგრეთვე დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ლამო, კუშერნი, ფორშტადტი, გერენი, ნივერლე, ცშეხელნი, გრეფენხაინი, გროს-ზელტენი, ლაიპა. 20 თებერვლის ბრძოლებში ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 49 ტანკი.

ბრესლაუს რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ ქალაქში გარშემორტყმული მოწინააღმდეგის დაჯგუფების მოსასპობად.

დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე, ქალაქ კომარნოს აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს. 20 თებერვალს ამ რაიონში დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 38 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

20 თებერვალს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 180 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 67 თვითმფრინავი.

* * *

### ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძებსა და სამხედრო ობიექტებს გერმანიის ქალაქებში შტეტინში, შტარგარდსა და ბრესლაუში

20 თებერვალს ღამით ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა დაარტყეს რკინიგზის კვანძებსა და სამხედრო ობიექტებს ქალაქებში შტეტინსა და შტარგარდში. დაბომბვის შედეგად დიდი ხანძრები გაჩნდა. იწვოდა მოწინააღმდეგის რკინიგზის ეშელონები და სამხედრო საწყობები. განსაკუთრებით დიდი ხანძრები და ამასთან ერთად ძლიერი აფეთქებანი შენიშნულ იქნა რკინიგზის კვანძ შტარგარდში.

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა აგრეთვე სამხედრო სამრეწველო ობიექტები ქალაქ ბრესლაუში. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით დანგრეულია ერთი სამხედრო ქარხანა. გერმანელთა ჯარების გარშემორტყმული დაჯგუფების განლაგებაში ხანძრები გაჩნდა, რასაც ძლიერი აფეთქებანი ახლდა.

## 22 თებერვლის ოპერატიული ცნობა

22 თებერვლის განმავლობაში ზემლანდის ნახევარკუნძულზე, კენიგსბერგის დასავლეთით, ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს. ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ დიდი ზარალის ფასად მოწინააღმდეგემ მოახერხა შეევიწროებინა ჩვენი ნაწილები კენიგსბერგის ბუხტის ჩრდილო ნაპიროდან. ამავე დროს კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფების მოსასპობად, ავიწროებდნენ გარემოცვის რკალს და დაიკავეს ქალაქი ცინტენი და დასახლებული პუნქტები ზარგენი, პალტენი, კირშინენი, გორმანსკოფი, პლიასვიხი. სამი დღის ბრძოლებში—19-დან 21 თებერვლამდე — კენიგსბერგის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა მოსპეს გერმანელთა 86 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 76 ქვემეხი, 160 ტყვიამფრქვევი და 300-ზე მეტი ავტომანქანა. მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით დაჰკარგა 8 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

დანციგის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, შეტევითი ბრძოლების შედეგად, დაიკავეს დასახლებული პუნქტები გოგოლევო, კენიგსვალდე, ბარლოშნო, გლუხა, ვალდორფი, კრამპკენი, ლონგი, გუტოვიტცი, რიტელი. 21 თებერვალს ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 5 თვითმავალი ქვემეხი, 55 ქვემეხი, 24 ჯავშანტრანსპორტიორი.

პოზნანში გრძელდებოდა ბრძოლები მოწინააღმდეგის იმ გარნიზონის მოსასპობად, რომელიც ციტადელს ინარჩუნებს.

ბრანდენბურგის პროვინციაში, ქალაქ გუბენის სამხრეთით, ჩვენი ჯარები მდინარე ნოისეს მიადგნენ, ამასთან დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები შენკენდორფი, მარკერსდორფი, შტრეგა, ტოიპლიტცი, ტრიბელი, გროს ზერხენი, ტეუპერშტადტი, დუბრაუ. ქალაქ გუბენის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტყეებში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ჯგუფი ორი ათასამდე ჯარისკაცისა და ოფიცრის რაოდენობით, ამასთან ტყვედ წამოიყვანეს საბრძოლო ჯგუფების მეთაურები პოლკოვნიკი ჰენში და პოლკოვნიკი ლინდეინარი.

ბრესლაუს რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ქალაქში გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად. რომელთა მსვლელობაში დაიკავეს ბრესლაუს განაპირა უბნები — მაზელვიტცი, კრიტერნი, ზიუნერნი, ზიმსდორფი.

დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე, ქალაქ კომარნოს აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს. 21 თებერვლის ბრძოლებში ამ რაიონში დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 40 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

21 თებერვალს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 198 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 80 თვითმფრინავი.

* * *

### ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმა მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებზე კენიგსბერგსა და ბრატისლავაში

21 თებერვალს ღამით ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა მასირებულად დაარტყეს მოწინააღმდეგის სამხედრო-სამრეწველო ობიექტებს ქალაქ კენიგსბერგში. დაბომბვის შედეგად გაჩნდა 40-ზე მეტი ხანძარი, რომლებსაც თან ახლდა დიდი ძალის აფეთქებანი. მოთვალთვალეთა მიერ აღნიშნულია ხანძრები მანქანათმშენებელი და გაზის ქარხნების ტერიტორიაზე.

ამავე ღამეს ჩვენმა ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის სამხედრო-სამრეწველო ობიექტები ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრატისლავაში. დაბომბვით გამოწვეულია ხანძრები, რომელთა შორის მოხდა რამდენიმე ძლიერი აფეთქება.

* * *

ქალაქ კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფების სალიკვიდაციოდ. გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა ქალაქ ცინტენის რაიონში. გერმანელებმა ეს ქალაქი თავიანთი თავდაცვის მძლავრ დასაყრდენ პუნქტად გადააქციეს. მათ ააგეს რკინა-ბეტონის ხანგრძლივი საცეცხლე წერტები, ამოთხარეს ღრმა ტანკსაწინააღმდეგო ორმოები, ხოლო ცინტენის გარშემო მდებარე მაღლობებზე თავი მოუყარეს 80-ზე მეტ საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეას. საბჭოთა ნაწილებმა შემოვლითი მანევრი მოაწყეს ჩრდილოეთიდან, მდინარე შტრადიკში გავიდნენ და გადაჭრეს ქალაქიდან დასავლეთისაკენ მიმავალი ყველა გზა. სხვა ჩვენი ნაწილები ცინტენში შეიჭრნენ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ქუჩებში გაჩაღდა შეუპოვარი ბრძოლები. გერმანელები ბევრჯერ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე, მაგრამ ჩვენი ქვეგანაყოფების დარტყმებით უკან იხევდნენ. დღეს ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს მტრის გარნიზონი და გერმანელებისაგან გასწმინდეს ქალაქი. ცინტენისათვის ბრძოლებში მოსპობილია მოწინააღმდეგის 4.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 41 ტანკი, 10 ჯავშანტრანსპორტიორი და 60 ქვემეხი. გერმანელებს წავართვით 40 ქვემეხი, 98 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა. ტყვედ წამოყვანილია 520 გერმანელი.

* * *

ქალაქ დანციგის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ტყიანი მასივები, დიდძალი ტბა და პატარა მდინარე აძნელებენ საბჭოთა ნაწილების მოქმედებას. გერმანელები იყენებენ თავდაცვისათვის ხელსაყრელ ადგილს. მათ გაამაგრეს დასახლებული პუნქტები, ხოლო გზაჯვარედინებზე ააგეს წინააღმდეგობის კვანძები ხანგრძლივ საცეცხლე წერტილებიანად და ძელმიწურ საცეცხლე წერტილებიანად. N შენაერთის ნაწილები დღეს შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ დასახლებულ პუნქტ და რკინიგზის სადგურ ლონგისათვის, რომლებიც ორი რკინიგზის შესაყარზე მდებარეობენ. ჩვენმა მებრძოლებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და იერიშით დაიკავეს ლონგი. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 400 გვამი. დაზიანებულია გერმანელთა 9 ტანკი და 2 ჯავშანტრანსპორტიორი. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ 10 კილომეტრით და გერმანელები განდევნეს რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტიდან.

* * *

პოზნანში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელთა გარნიზონის მოსასპობად, რომელიც ციტადელში გამაგრდა. საბჭოთა მოიერიშე რაზმებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს მიწაყრილი, რომელიც ციტადელს ერტყმის გარს სამხრეთიდან, და კიბეებისა და საიერიშო ხიდების შემწეობით თხრილი გადალახეს. მერმე ჩვენი მებრძოლები არტილერიის მიერ ციხის კედელში გაკეთებულ ნაპრალში შეიჭრნენ და ერთი შენობა დაიკავეს. ტყვედ წამოყვანილია გერმანელთა 360 ჯარისკაცი და 13 ოფიცერი.

* * *

ბრანდენბურგის პროვინციაში, ქალაქ გუბენის სამხრეთით, ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და ფართო ფრონტით მიადგნენ მდინარე ნოისეს. დაკავებულია სოფელი შენკენდორფი, რომელიც სამ კილომეტრზე იმყოფება გუბენის სამხრეთით. გერმანელები განდევნილ არიან აგრეთვე დასახლებულ პუნქტ შტრეგიდან, რომელიც ექვს კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ ფერსტის ჩრდილოეთით. N ნაწილის ქვეგანაყოფებმა მდინარესთან მიიმწყვდიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ბატალიონი. ჰიტლერელთა მეტი ნაწილი გაჟლეტილია, დანარჩენები კი ტყვედ წამოვიყვანეთ. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში სხვადასხვა უბანზე დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 38 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა.

## საარტილერიო სალუტი თბილისში

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანების საფუძველზე, წითელი არმიის 27-ე წლისთავის აღსანიშნავად დღეს, 23 თებერვალს, თბილისში, 21 საათზე ადგილობრივი დროით, მიცემულ იქნება საარტილერიო სალუტი ოცი ზალპით.

# წინ, ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურებისათვის!

ხვალ საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთსულოვანი ოჯახი იდღესასწაულებს თავისი მშობლიური წითელი არმიის 27-ე წლისთავს. წითელი არმიის დაბადების დღე იყო ღირსშესანიშნავი დღე გადამწყვეტი წინააღმდეგობისა გერმანიის იმპერიალიზმის ჯარებისადმი, იმპერიალიზმისა, რომელიც 27 წლის წინათ შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში და ცდილობდა გაეწირა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო, თავის კოლონიად გადაექცია ჩვენი თავისუფალი სამშობლო. მაშინ გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში იშვა ჩვენი სახელოვანი არმია. ახლა იმავე გერმანელ, მაგრამ კიდევ უფრო გათავხედებულ და უკიდურესად გამხეცებულ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში წითელი არმია გაიზარდა, გამოიწრთო და, დიდი სტალინის წინამძღოლობით, მსოფლიოს ყველაზე ძლიერ, ყველაზე მძლავრ არმიად იქცა.

უკანასკნელი წელი წითელი არმიის დიად ისტორიულ გამარჯვებათა წელი იყო. ერთი წლის წინათ, წითელი არმიის 26-ე წლისთავის წინადღეს, ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წითელი არმიის მამაც მეომრებს შემდეგი საბრძოლო მოწოდებით მიმართა: „აღვგავოთ საბჭოთა მიწა-წყლიდან საზიზღარი დამპყრობლები!“. სამშობლო მოუწოდებდა თავის მეომრებს: „შეუპოვრად გასწიეთ წინ ჩვენი დასავლეთი საზღვრებისაკენ!“ წითელმა არმიამ შეასრულა ეს დიადი მისია. წითელმა არმიამ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები განდევნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთელი ტერიტორიიდან. შარშანდელი წელი ჰიტლერელი არამზადებისაგან მშობლიური მიწა-წყლის სრული გაწმენდის წელი იყო. ამიერიდან და სამუდამოდ ჩვენი მიწა-წყალი თავისუფალია ჰიტლერული სიბილწისაგან.

ამიტომ ახალი სიტყვები, ზეიმით და ჩვენი არმიისათვის, ჩვენი ხალხისათვის სიამაყით აღსავსე სიტყვები, გვესმის ჩვენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში, რომლებიც გუშინ გამოქვეყნდა წითელი არმიის 27-ე წლისთავისათვის. პირველივე მოწოდება ამბობს:

**„გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას, განმათავისუფლებელ არმიას, რომელმაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან და ანადგურებს ჰიტლერელთა ჯარებს გერმანიის ტერიტორიაზე!“.**

ერთი წლის წინათ ოპერატიული ცნობა იუწყებოდა წითელი არმიის წარმატებით შეტევას ლუგის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით მდებარე რაიონებში, ილმენის ტბის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით, ქალაქ ხოლმის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით. წითელი არმიის 26-ე წლისთავის წინადღეს ჩვენმა ჯარებმა იერიშით დაიკავეს უკრაინის დიდი სამრეწველო ცენტრი ქალაქი კრივოი როგი. ეს სულ ერთი წლის წინათ იყო. დახედეთ საომარი მოქმედების რუკას! ჩვენი მშობლიური ქალაქები ღრმა ზურგში არიან. რა დიდი გზაა განვლილი! ბრძოლები სწარმოებს დანციგის სამხრეთით, ბერლინიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრზე, გერმანიის მიწა-წყლის სიღრმეში ოდერს გაღმა. თითქმის სავსებით განთავისუფლებულია მეგობრული პოლონეთი. მთავრდება მეგობრული იუგოსლავიის განთავისუფლება. თავისუფლდება მეგობრული ჩეხოსლოვაკია. მტერი შემწყვდეულია თავის ბუნაგში, და ახლოვდება მისი სრული მოსპობის ჟამი. მძლავრმა საბჭოთა კავშირმა იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშისტი დამრბეველებისაგან. ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად ჩვენ ახალ-ახალ გამანადგურებელ დარტყმებს ვუმზადებთ ჰიტლერულ გერმანიის გულს. მთელ მსოფლიოში გაისმის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდების მგზნებარე სიტყვები:

**„გაუმარჯოს ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბრძოლო კავშირის გამარჯვებას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე! გამანადგურებელი დარტყმები მივაყენოთ ფაშისტურ გერმანიას აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან! აღვგავოთ პირისაგან მიწისა გერმანიის იმპერიალიზმი! უზრუნველვყოთ მტკიცე მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის!“**

გრანდიოზულ განმათავისუფლებელ ლაშქრობაში, წითელი არმიის უმაგალითო შეტევაში, რაც უკვე ორ წელზე მეტ ხანს გრძელდება, ჩვენმა ჯარებმა მაღალი ოსტატობა გამოიჩინეს. მათ ისწავლეს მტრის განადგურება და დამარცხება. წითელი არმია მრისხანე ძალა გახდა და სჯაბნის მტერს თავისი მხედრული უნარითა და საბრძოლო ტექნიკით. იმარჯვებს სტალინური მხედართმთავრული ხელოვნება. იმარჯვებს სტალინური მეცნიერება გამარჯვებისა.

ახლა, როცა ჰიტლერული გერმანია სრული კატასტროფის წინაშე დგას, როცა მტერი მიყვანილია უფსკრულის პირას, წითელმა არმიამ და მოკავშირეთა არმიებმა უნდა დაამთავრონ გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმე, ბოლო მოუღონ ფაშისტ მხეცს მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა აღმართონ ბერლინში. ეს დიადი ამოცანა ახლო მომავალში რომ შესრულდეს, როგორც ეს სურს ჩვენს ხალხს, როგორც ეს სურთ მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს, ამისათვის ბოლშევიკების პარტია მოუწოდებს ჩვენს წითელ არმიას მთელი თავისი ძალების ახალი მობილიზაციისაკენ გადამწყვეტი იერიშისათვის.

მტერი სასოწარკვეთილ წინააღმდეგობას გვიწევს. იგი უბრძოლველად არ გვნებდება. მტერს სურს სული მოითქვას, არსებობა გაიხანგრძლივოს. ნუ მივცემთ მას ამის საშუალებას! საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოგვიწოდებს:

**„წითელი არმიის მეომრებო! გამანადგურებლად ურტყით გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს! არ მისცეთ მტერს სულის მოთქმის საშუალება! ურტყით მას დაუნდობლად, საბჭოთა იარაღის მთელი ძალით! წინ, დასავლეთისაკენ!“.**

ბოლშევიკების პარტია ასწავლის ჩვენს ჯარებს ომის სტალინურ ხელოვნებას. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში წითელი არმიის ყოველი გვარეობის ჯარი პოულობს თავის საბრძოლო ამოცანას. ქვეითებმა თამამად და გაბედულად უნდა დაძლიონ მტრის თავდაცვა, განუწყვეტლივ სდევნონ და ანადგურონ ფაშისტთა ჯარები, არ მისცენ მათ ახალ ზღუდეებზე გამაგრების საშუალება. არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა მძლავრი და მარჯვე ცეცხლით დარტყმებით უნდა ანადგურონ მოწინააღმდეგის თავდაცვა, მოსპონ მტრის ცოცხალი ძალა და საბრძოლო ტექნიკა. ტანკისტებს მოეთხოვებათ სავსებით გამოიყენონ ჩვენი ტანკების მაღალი საბრძოლო თვისებები, მუსრონ მტერი და კვალდაკვალ სდიონ მას. მფრინავებმა— ჩვენი სამშობლოს შევარდნებმა ჰაერიდან მძლავრი დარტყმებით უნდა ანადგურონ მოწინააღმდეგის ჯარები და საბრძოლო ტექნიკა, ანგრიონ მისი კომუნიკაციები, გზა გაუკაფონ ჩვენს შემტევ ჯარებს. წითელი არმიის კავალერისტებს პარტია მოუწოდებს: სწრაფად სდევნეთ მტრის ჯარები, გულადად შეიჭერით მოწინააღმდეგის რიგებში, შემოუარეთ მის ფლანგებს, გარს შემოერტყით და მოსპეთ გერმანელი ფაშისტი ქვეწარმავლები.

წითელი არმიის მეომრებთან ერთად გერმანელებს ანადგურებს ჩვენი ქვეყნის მამაცი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. მისი ამოცანაა კიდევ უფრო ძლიერად ურტყას მტრის საზღვაო კომუნიკაციებს, ჩაძიროს მოწინააღმდეგის ხომალდები და ტრანსპორტები, გასწმინდოს ზღვის სივრცეები ფაშისტური სიბილწისაგან.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი საბრძოლო მოწოდებებით მიმართავს მეკავშირეებს, მზვერავებს, მესაზღვრეებს, საინჟინრო ჯარების მებრძოლებსა და ოფიცრებს, სამედიცინო მუშაკებს და საჯარისო ზურგის მუშაკებს. კავშირგაბმულობა წითელი არმიის ნერვია. კარგი კავშირგაბმულობის გარეშე შეუძლებელია ბრძოლის მართვა, შეუძლებელია ყველა გვარეობის ჯარის თანამოქმედების უზრუნველყოფა. დაზვერვა არმიის თვალი და ყურია. მზვერავები მოწოდებული არიან დაეხმარონ ჩვენს შემტევ ჯარებს მტრის აუცდენლად განადგურებაში. საჯარისო ზურგის მუშაკები ჩვენი არმიის ერთ-ერთი ყველაზე პასუხისმგებელი რაზმია. საბრძოლო ტექნიკის, საომარი მასალის, საწვავის, სურსათის დროზე მიუწოდებლად, განსაკუთრებით კომუნიკაციების სიშორის პირობებში, წარმატებითი შეტევა შეუძლებელი იქნებოდა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა ზურგის მუშაკებს. „წითელი არმიის ძალები მრავალგზის მატულობს საბჭოთა ზურგის შეწყობილი მუშაობით“, — ამბობს ამხანაგი სტალინი. და ახლა, როცა წითელი არმია გადამწყვეტ შეტევას ეწევა, საბჭოთა ხალხმა კვლავ და კვლავ უნდა გაუწიოს მძლავრი დახმარება ფრონტს და წითელ არმიასთან ერთად ძლევამოსილ დასასრულამდე მიიყვანოს ომი. ემზადებოდა რა წითელი არმიის 27-ე წლისთავისათვის, ჩვენი ხალხი გმირულ ღონისძიებებს ხმარობდა, რათა მიეცა წითელი არმიისათვის გეგმით და გეგმის გადამეტებით შეიარაღება და საომარი მასალა, სურსათი და საწვავი. მთელი ჩვენი ქვეყანა ახალი საწარმოო წარმატებებით ეგებება დღესასწაულს. მაგრამ ჩვენ ამაზეც არ შევჩერდებით!

ბოლშევიკების პარტია მოუწოდებს მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს.

**„აძლიეთ წითელ არმიას სულ უფრო და უფრო მეტი ტანკი, თვითმფრინავი, ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი, ავტომატი, საომარი მასალა! აუმჯობესეთ საბრძოლო მანქანების ხარისხი!“.**

პარტია მოუწოდებს რკინიგზელებს, რკინიგზის ჯარების მებრძოლებსა და ოფიცრებს:

**„თავდადებული და ზუსტი მუშაობით უზრუნველყავით წითელი არმიის წარმატებანი! უფრო სწრაფად აღადგინეთ გერმანელთა მიერ დანგრეული რკინიგზის ლიანდაგები და ნაგებობანი!“.**

პარტია მოუწოდებს კოლმეურნეებს, მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს:

**„საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადებითა და წარმატებით ჩატარებით უზრუნველვყოთ უხვი მოსავალი 1945 წელს!“**

27 წლის წინათ ბოლშევიკების პარტიამ შექმნა წითელი არმია. ლენინი და სტალინი მისი ორგანიზატორები და ბელადები არიან. ლენინმა და სტალინმა აღზარდეს ჩვენი არმია თავისი ხალხისადმი ერთგულებისა და თავდადების სულისკვეთებით. უცხოელთა სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში წითელი არმიის გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო ის იყო, რომ „წითელი არმიის ზურგისა და ფრონტის ხელმძღვანელი ბირთვი იყო ბოლშევიკების პარტია — ერთიანი თავისი დარაზმულობითა და დისციპლინით, ძლიერი თავისი რევოლუციური სულისკვეთებით და მზადმყოფი გაეღო ყოველგვარი მსხვერპლი საერთო საქმის წარმატებისათვის, უბადლო თავისი უნარით — დაერაზმა მილიონიანი მასები და სწორად ეხელმძღვანელნა მათთვის რთულ ვითარებაში“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი). ბოლშევიკების პარტიის ეს შესანიშნავი თვისებები კიდევ უფრო მეტი ძალით გამომჟღავნდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში. წითელი არმიის გამარჯვებებში ჩვენ ვხედავთ ლენინიზმის დიად გამარჯვებებს, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ისტორიულ გამარჯვებებს.

ჩვენი პარტიის სიბრძნეს, ნებისყოფასა და გენიას განასახიერებს მისი დიდი ბელადი, სახელოვანი წითელი არმიის მხედართმთავარი ამხანაგი სტალინი. სტალინი ჩვენი ხალხის ბედნიერებაა. მხედართმთავართა შორის უდიდესს, მას ჩვენი ქვეყანა მიჰყავს სრული გამარჯვებისაკენ, ახალი დიდებისაკენ, უმაგალითო სიდიადისა და აყვავებისაკენ. ჩვენი ქვეყნის ხალხები, ფრონტის მეომრები, ზურგის მშრომელები, რომელნიც გამსჭვალული არიან მხურვალე სიყვარულით ბოლშევიკების პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი, წითელი არმიის დღეს შესძახებენ:

**„გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!“**

„ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურებისათვის, ჩვენი სამართლიანი საქმის სრული გამარჯვებისათვის!“.

**„პრავდის“ 22 თებერვლის მოწინავე.**

## ი. დ. ჩერნიახოვსკის ხსოვნის უკვდავყოფა

ვილნიუსი, 21 თებერვალი. (საკდესი). მშრომელთა თხოვნით, ვილნიუსის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვეტილება მიიღო, რომ რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალურ მოედანს ჩერნიახოვსკის სახელი მიეკუთვნოს.

## კანადის პრესა ამხ. ჩერნიახოვსკის შესახებ

ოტავა, 21 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „გაზეტი“ (გამოდის მონრეალში) არმიის გენერალ ი. დ. ჩერნიახოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს მის ბრწყინვალე სამხედრო მიღწევებს. მოწინავეში ნათქვამია, რომ სატანკო ომის წარმოების საკითხების ეს ნიჭიერი სპეციალისტი განასახიერებს ახალ რუსეთს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ჩერნიახოვსკის ხსოვნა დიდ ხანს დარჩება საბჭოთა ხალხის და მის მოკავშირეთა გულში, რომელთა საქმესაც იგი კეთილმობილურად ემსახურებოდა.

## კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტ ბ-ნ ბ. ბერუტის, პოლონეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ედ. ოსუბკა-მორავსკისა და პოლონეთის ჯარის მთავარსარდალ გენერალ-პოლკოვნიკ ნ. როლია-ჟიმერსკის მოსკოვში ყოფნის გამო

14-დან 20 თებერვლამდე მოსკოვში ყოფნის დროს კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტ ბ-ნ ბ. ბერუტს, პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ედ. ოსუბკა-მორავსკისა და პოლონეთის ჯარის მთავარსარდალ გენერალ-პოლკოვნიკ ნ. როლია-ჟიმერსკის საუბარი ჰქონდათ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინთან და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვთან. საუბრების დროს განხილულ იქნა საკითხი სსრ კავშირის დახმარებისა ვარშავის აღდგენაში, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის მორიგი საკითხები.

საუბრებში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის ელჩმა პოლონეთში ვ. ზ. ლებედევმა და პოლონეთში სსრ კავშირის სამხედრო მისიის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ს. ს. შატილოვმა.

## მოსკოვიდან გაემგზავრნენ პოლონეთის რესპუბლიკის კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტი ბ-ნი ბ. ბერუტი და პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ე. ოსუბკა-მორავსკი

21 თებერვალს მოსკოვიდან გაემგზავრნენ პოლონეთის რესპუბლიკის კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტი ბ-ნი ბ. ბერუტი და პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ე. ოსუბკა-მორავსკი.

ცენტრალურ აეროდრომზე ბ-ნი ბ. ბერუტი და ე. ოსუბკა-მორავსკი გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ა. ი. ვიშინსკიმ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ა. ფ. გორკინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 ევროპული განყოფილების გამგემ ვ. ა. ზორინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ფ. ფ. მოლოჩკოვმა, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსმა გენერალ-მაიორმა მ. პ. კუტუზოვმა, აგრეთვე პოლონეთის საელჩოს დიპლომატიურმა შემადგენლობამ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ ს. მოძელევსკის მეთაურობით.

ბ-ნ ბ. ბერუტთან და ე. ოსუბკა-მორავსკისთან ერთად მოსკოვიდან გაემგზავრა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთში ვ. ზ. ლებედევი.

იმავე დღეს მოსკოვიდან გაემგზავრა პოლონეთის ჯარის მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ნ. როლია-ჟიმერსკი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### საქართველოს სს რესპუბლიკის ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხისა და ქარელის რაიონების პარტიული და საბჭოთა მუშაკების ორდენებით დაჯილდოების შესახებ

ვინაიდან ომიანობის დროის პირობებში პურის დამზადების დარგში მუშაობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად და თავისი მნიშვნელობით ეთანაბრება ფრონტულ მუშაობას, 1944 წლის პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

**სამამულო ომის II ხარისხის ორდენით**

1. რუბენ არაქელის-ძე ავეტისოვი — მშრომელთა დეპუტატების ახალქალაქის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
2. დიმიტრი ვასილის-ძე გელაშვილი — საქართველოს კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი.
3. გიორგი ვასილის-ძე კირვალიძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი.
4. ლევან ამბაკოს-ძე ლურსმანაშვილი — დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ქარელის რაიონში.
5. სიმონ ბიჭიას-ძე მახარაშვილი — დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ადიგენის რაიონში.
6. ალექსანდრე ანდრიას-ძე მიქაძე — მშრომელთა დეპუტატების ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
7. აკაკი ილარიონის-ძე რუხაძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი.
8. ლეონიდე ლუკას-ძე ტყაბლაძე — მშრომელთა დეპუტატების ადიგენის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
9. გიორგი მემნონის-ძე ჩხიკვაძე — მშრომელთა დეპუტატების ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 1 თებერვალი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 4 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად წითელ არმიაში 25 წლის და მეტი ხნის ნამსახურობისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან მარშლები, გენერლები და ოფიცრები, აგრეთვე ზევადიანი სამსახურის სერჟანტთა შემადგენლობა.

დაჯილდოებულთა შორის არიან:

საბჭოთა კავშირის მარშლები — ს. მ. ბუდიონი, ა. მ. ვასილევსკი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. ა. გოვოროვი, გ. კ. ჟუკოვი, ი. ს. კონევი, რ. ი. მალინოვსკი, კ. ა. მერეცკოვი, კ. კ. როკოსოვსკი, ს. კ. ტიმოშენკო, ფ. ი. ტოლბუხინი, ბ. მ. შაპოშნიკოვი.

არტილერიის მთავარი მარშალი ნ. ნ. ვორონოვი.

ავიაციის მთავარი მარშალი ა. ა. ნოვიკოვი.

ავიაციის მარშლები — ფ. ა. ასტახოვი, გ. ა. ვოროჟეიკინი, ფ. ი. ფალალეევი, ს. ა. ხუდიაკოვი.

არტილერიის მარშლები — მ. ნ. ჩისტიაკოვი, ნ. დ. იაკოვლევი.

ჯავშანსატანკო ჯარების მარშლები — პ. ა. როტმისტროვი, ი. ნ. ფედორენკო.

საინჟინრო ჯარების მარშალი მ. პ. ვორობიოვი.

არმიის გენერლები — ა. ი. ანტონოვი, ა. ი. ერემენკო, გ. ფ. ზახაროვი, ი. ი. მასლენიკოვი, ი. ე. პეტროვი, მ. ა. პურკაევი, ვ. დ. სოკოლოვსკი, ი. ვ. ტიულენევი, ა. ვ. ხრულევი.

გენერალ-პოლკოვნიკები — პ. ა. არტემიევი, პ. ი. ბატოვი, პ. ა. ბელოვი, ა. ნ. ბოგოლიუბოვი, კ. ნ. გალიცკი, ვ. ვ. გლაგოლევი, ფ. ი. გოლიკოვი, ა. ვ. გორბატოვი, ვ. ნ. გორდოვი, დ. ნ. გუსევი, ა. ს. ჟადოვი, მ. ვ. ზახაროვი, მ. პ. კოვალევი, ვ. ი. კოლპაკჩი, კ. ა. კოროტეევი, ნ. ი. კრილოვი, ვ. ვ. კურასოვი, პ. ა. კუროჩკინი, მ. ს. მალინინი, ა. პ. პოკროვსკი, ვ. ს. პოპოვი, ნ. პ. პუხოვი, მ. ა. რეიტერი, პ. ს. რიბალკო, ლ. მ. სანდალოვი, ი. ვ. სმოროდინოვი, ს. გ. ტროფიმენკო, ი. ი. ფედიუნინსკი, ვ. ა. ფროლოვი, მ. ს. ხოზინი, ვ. დ. ცვეტაევი, ნ. ე. ჩიბისოვი, ი. მ. ჩისტიაკოვი, ვ. ი. ჩუიკოვი, მ. ს. შუმილოვი, ე. ა. შჩადენკო.

სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკები — ს. ი. ბოგდანოვი, ვ. ტ. ვოლსკი, მ. ე. კატუკოვი, ა. გ. კრავჩენკო.

ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკები — კ. ა. ვერშინინი, ს. კ. გორიუნოვი, ს. ა. კრასოვსკი, ნ. ფ. ნაუმენკო, ს. დ. რიბალჩენკო, ნ. ს. შიმანოვი.

გენერალ-ლეიტენანტები — ვ. რ. ვაშკევიჩი, ფ. კ. კორჟენევიჩი და სხვები.

## სტალინური პრემიების კომიტეტში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და გამოგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტი შეუდგა 1943 და 1944 წლებისათვის ამხანაგ სტალინის სახელობის პრემიების მოპოვებისათვის წარდგენილ ნაშრომთა შერჩევას.

კომიტეტის პლენუმმა დაამტკიცა სექციების შემადგენლობა.

მუშაობას შეუდგა ტექნიკურ მეცნიერებათა სექცია, რომელსაც აკადემიკოსი ჩუდაკოვი ხელმძღვანელობს. ამ სექციის განსახილველად მიღებულია 300-ზე მეტი ნაშრომი. მათ შორის არის მთელი რიგი საინტერესო ნაშრომები მშენებლობის საკითხებზე, კერძოდ იმ კოლექტივის ნაშრომი, რომელსაც ხელმძღვანელობენ ნ. ი. ლუკაშკინი და ვ. ე. დიშმიცე და რომელიც შეეხება ბრძმედების ჩქარი მშენებლობისა და მონტაჟის ახალ მეთოდებს. ამ კოლექტივის მიერ შემუშავებული მეთოდები უკვე გამოყენებულ იქნა სამამულო ომის წლებში ჩუსოვოის და მაგნიტოგორსკის ბრძმედების მშენებლობაში. გზათა სახალხო კომისარიატისა და მშენებლობის სახალხო კომისარიატის მუშაკთა ჯგუფმა წარადგინა ნაშრომი რკინიგზის ხიდების ჩქარი მშენებლობისა და აღდგენისათვის ხიდის ნაგებობათა ახალი კონსტრუქციების შესახებ.

გარდა ამისა, კომიტეტში მიღებულია ნაშრომები პრემიების მოსაპოვებლად მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მრავალი წლის თვალსაჩინო მუშაობისათვის. ამ ნაშრომთა ავტორები არიან აკადემიკოსი პოზდიუნინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები სტრელეცკი, გერსევანოვი, უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი დინიკი, აზერბაიჯანის ნავთის ინსტიტუტის პროფესორი ესმანი, მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის პროფესორი მერცალოვი და სხვები.

შესდგა აგრეთვე სამედიცინო მეცნიერებათა სექციის პირველი სხდომა აკადემიკოს აბრიკოსოვის თავმჯდომარეობით. ამ სექციის განსახილველად უკვე მიღებულია 70 ნაშრომი. (საკდესი).



სამთო ზარბაზნის გუნდი, რომელსაც სერჟანტი ხ. სოპია მეთაურობს, საცეცხლე პოზიციაზე.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

## იუგოსლავიის გაზეთი წითელი არმიის 27-ე წლისთავის შესახებ

**ბელგრადი**, 22 თებერვალი. (საქდესი). გაზეთმა „გლასმა" მოათავსა გენერალ-მაიორ ლიუბოდრაგ ჯურიჩის მოწინავე სტატია, მიძღვნილი წითელი არმიის 27-ე წლისთავისადმი.

სტატიაში დაწვრილებით არის აწერილი, თუ რა სიყვარულით ზრდიდნენ ლენინი და სტალინი, მთელი საბჭოთა ხალხი წითელ არმიას, რათა იგი გადაექციათ საუკეთესო არმიად მსოფლიოში, „ახალი ტიპის, მძლავრ, შეგნებულ, მტკიცე დისციპლინიან არმიად".

„არც ერთ არმიას არ შეეძლო შეეჩერებინა გაცოფებულ ფაშისტთა ურდოები, — სწერს გაზეთი, — და მხოლოდ მძლავრმა გმირმა წითელმა არმიამ, განმათავისუფლებელმა არმიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი ორგანიზატორი და სტრატეგი სტალინი, არა მარტო შეაჩერა ეს ურდოები, არამედ კიდევაც უკუაგდო ისინი მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის კედლებიდან. სძლევდა რა სიმაგრეთა და წყლის ზღუდეთა მძლავრ ხაზებს, — ვოლგიდან ოდერამდე — იგი ერეკება და სპობს ფაშისტთა ურდოებს. ულმობელი მსაჯული, იგი ბერლინის კარიბჭესთან დგას".

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს იმ დიდსულოვნურ დახმარებას, რასაც წითელი არმია იუგოსლავიის ახალგაზრდა სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას უწევს.

## კანადის საზოგადოებრიობა მიესალმება წითელ არმიას მისი 27-ე წლისთავის გამო

**ოტავა**, 22 თებერვალი. (საქდესი). წითელი არმიის მოახლოებულ 27-ე წლისთავთან დაკავშირებით საქდესის განყოფილების მისამართით ოტავაში მოდის მრავალი მისალოცი დეპეშა კანადის პოლიტიკური მოღვაწეების, პროვინციული მთავრობების ხელმძღვანელების, საეკლესიო ორგანიზაციების, კანადის ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლების, კანადის ქალაქების მერების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და „საბჭოთა კავშირ-კანადის მეგობრობის კონგრესის" ადგილობრივი განყოფილებებისაგან.

ბრიტანეთის კოლუმბიის პრემიერის ჯონ ჰარტის დეპეშაში ნათქვამია:

„გთხოვთ გადასცეთ მარშალ სტალინს ჩემი უგულითადესი მილოცვა საბჭოთა ჯარების მიერ აღმოსავლეთის ფრონტზე მოპოვებულ შესანიშნავ გამარჯვებათა გამო. წითელი არმიის მიერ მისი 27-ე წლისთავის დღისათვის მოპოვებული წარმატებანი მისი მამაცობის ღირსეული ჯილდოა".

## წითელი არმიის დღის დღესასწაულობა ავსტრალიაში

**ლონდონი**, 22 თებერვალი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა კერტენმა განკარგულება გასცა — 23 თებერვალს წითელი არმიის პატივსაცემად ბაირაღები აღმართონ ყველა საზოგადოებრივ შენობაზე.

## პოლონური გაზეთი ვარშავის აღდგენის საქმეში საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ

**ვარშავა**, 22 თებერვალი. (საქდესი). ამ დღეებში ვარშავაში გამოვიდა გაზეთ „ჟიჩე ვარშავის" სპეციალური ნომერი, მიძღვნილი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისადმი პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის აღდგენის საქმეში დახმარების აღმოჩენის შესახებ. გაზეთი აქვეყნებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას და საქალაქო რადა ნაროდოვას საზეიმო სხდომის რეზოლუციას, რომელშიც გამოთქმულია დიდი მადლობა საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი იმ დახმარებისათვის, რასაც ისინი პოლონელ ხალხს უწევენ დედაქალაქის აღდგენის საქმეში.

ამ ამბისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში გაზეთი სწერს: „პოლონელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს მისთვის გაწეულ დახმარებას და საბჭოთა ხალხს უპასუხებს ულევად გულმხურვალე მადლობითა და მეგობრობით".

## საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

**ლონდონი**, 22 თებერვალი. (საქდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ გერმანიაში, რაინსა და მაასს შუა, მოკავშირეთა ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. მათ მიაღწიეს ჰოხ-უდენის რკინიგზას, უდენის დასავლეთით. ჰოხი მთლიანად გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან.

პრიუმის სამხრეთ-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ჰოუფე და ბრძოლებსეწევიან ბინსშაიდში. ამ რაიონის სამხრეთ-დასავლეთით, ლუქსემბურგ-გერმანიის საზღვრის მახლობლად, მოკავშირეთა ჯარები დასბურგში შევიდნენ და ქალაქი დანენი დაიკავეს.

ვიანდენის რაიონში მოკავშირეთა ჯარები გერმანიის საზღვარს მიადგნენ. ვიანდენის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაკავებულია როტი.

სამკუთხედში მდინარეებს საარსა და მოზელს შუა მოკავშირეთა ჯარებმა მოწინააღმდეგისაგან გაწმინდეს ტემელსი. მოკავშირეთა სატანკო ნაწილებმა წინ წაიწიეს ონსდორფს იქით და მიაღწიეს პუნქტს, რომელიც 3,5 მილზე მდებარეობს საარბურგის ჩრდილო-დასავლეთით; მოკავშირეთა სხვა ჯავშანსატანკო ნაწილები საარბურგში შევიდნენ. უფრო სამხრეთით მოკავშირეთა ჯარები მდინარე საარს მიადგნენ და ჰამი და ტაგენი დაიკავეს. გააფთრებული ბრძოლების შემდეგ დაკავებულია ქალაქები ფრაიდენბურგი და ორშოლცი. საარლაუტერნთან მდებარე ხიდწინა სიმაგრის რაიონში მოგერიებულია მოწინააღმდეგის კონტრიერიშები. ფორბახში ქუჩის ბრძოლები სწარმოებს.

ჩრდილოეთ ელზასის ვაკეში მოკავშირეთა არტილერიამ გაჰფანტა მტრის ჯავშნიანი მანქანების ჯგუფი. საარბრიუკენსა და რაინს შუა მდებარე რაიონში უკანასკნელი ექვსი დღის განმავლობაში წამოყვანილია 1.800 ტყვე.

მოკავშირეთა ავიაცია თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის კომუნიკაციებსა და სატრანსპორტო ობიექტებს.

მძიმე ბომბდამშენთა მეტად დიდი შენაერთები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხნენ სატრანსპორტო და სამრეწველო ობიექტებს ნიურნბერგში.

21 თებერვალს ღამით მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ რკინიგზის ცენტრ ვორმსს. ბომბდამშენთა სხვა შენაერთი თავს დაესხა დუისბურგს. 21 თებერვალს ღამით ორჯერ დაბომბეს ბერლინი.

**ლონდონი**, 22 თებერვალი. (საქდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მე-5 არმიის ამერიკელთა ნაწილებმა პოზიციები გაიუმჯობესეს. ფრონტის დანარჩენ უბნებზე ცვლილება არ მომხდარა.

მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები მეცხრე დღეა ზედიზედ ესხმიან თავს საქონლისა და დამხარისხებელ სადგურებს ვენის რაიონში. ავიაციის დიდი შენაერთები დღისით და ღამით თავს ესხმოდნენ მოწინააღმდეგის კომუნიკაციებს მთელს ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში, ავსტრიასა და იუგოსლავიაში.

## ბერხტესგადენის დაბომბვა

**ლონდონი**, 22 თებერვალი. (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა ძალების შტაბის ცნობას, რომ 20 თებერვალს ომის დაწყებიდან პირველად დაბომბეს ბერხტესგადენი—ჰიტლერის სასოფლო რეზიდენცია.

# ორი დიდი ისტორიული თარიღი

(დასასრული)

ახალი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი. მთავრდება ლითონისა და სამთამადნო საქმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მოწყობა. ახლად ყალიბდება გეოგრაფიის ინსტიტუტი, რომელსაც მეთაურობს აკადემიკოსი ა. ჯავახიშვილი, და სატყეო ინსტიტუტი საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ვ. გულისაშვილის მეთაურობით.

საბჭოთა საქართველომ, რომელიც თავისი არსებობის 24 წლის მანძილზე მოწინავე კულტურისა და მთლიანი წერა-კითხვის მცოდნეობის ქვეყანა გახდა, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის დღეებში მოახერხა არა თუ დაეცვა, არამედ განუხრელად აემაღლებინა თავისი ხალხის კულტურის დონე. მოსწავლეთა რაოდენობა სკოლებში მატულობდა ომის უაღრესად მრისხანე წლებშიც კი. 1943-44 სასწავლო წელს საქართველოს სკოლებში სწავლობდა 41.700 კაცით მეტი, ვიდრე წინა სასწავლო წელს. 1944-45 სასწავლო წელს სკოლებში სწავლობს 35.900 კაცით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

ასევე წლითიწლობით მატულობდა საქართველოში სამეცნიერო დაწესებულებათა — სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, მათი ფილიალების, სამეცნიერო სადგურებისა და ობსერვატორიების რაოდენობა. 1941 წელს საქართველოში ითვლებოდა 78 სამეცნიერო დაწესებულება, 1942 წელს — 85, 1943 წელს — 88, 1944 წელს — 92. საქართველოს მხცოვან მეცნიერთა, რომლებიც ფართოდ არიან ცნობილნი მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ, მიემატა ათეულობით ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი, რომელნიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. ომის წლებში საუკეთესოებს მათ შორის მიენიჭათ სტალინური პრემიების ლაურეატის საპატიო წოდება.

საბჭოთა საქართველომ მიაღწია ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნების ბრწყინვალე გაფურჩქვნას. ჩვენი მწერლები, პოეტები, დრამატურგები, მოქანდაკეები, მხატვრები, რეჟისორები, მსახიობები, საბჭოთა ხალხის მამაცობით აღფრთოვანებულნი, თავიანთი ნაწარმოებებით, მთელი თავიანთი მხატვრული შემოქმედების ძალით აქტიურად მონაწილეობენ ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

ამას წინად დამთავრდა თბილისში მოწყობილი დეკადა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკისა. ამ მუსიკალურ ფესტივალში ქართველმა კომპოზიტორებმა, მომღერლებმა, დირიჟორებმა, მუსიკალურმა კოლექტივებმა გვიჩვენეს ქართული მუსიკალური ხელოვნების მძლავრი შემოქმედებითი ზრდა.

ქართული მუსიკის კონცერტებმა დეკადაზე გვიჩვენეს, რომ ჩვენმა კომპოზიტორებმა, რომლებიც დაუღალავად ავითარებენ ეროვნული კულტურის საფუძვლებს, შემოქმედებითი სიმწიფის მაღალ საფეხურს მიაღწიეს და მსოფლიო ხელოვნების ვრცელ ასპარეზზე გამოვიდნენ.

დიდ ისტორიულ გამარჯვებათა დღეებში ქართველი ხალხი სიხარულით აღნიშნავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXIV წლისთავს და უძლეველი წითელი არმიის XXVII წლისთავს. საქართველოს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის ფიქრები მიპყრობილია დიდი სტალინისაკენ, რომლის გენიალური წინამძღოლობით საბჭოთა ქვეყანამ მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება კაცობრიობის უბოროტეს მტერზე — გერმანიის ფაშიზმზე.

ქართველი ხალხი გულში სიყვარულით ატარებს დიდი სტალინის სახელს და დაუღალავად მუშაობს ფრონტის საჭიროებისათვის. თავისი შრომით იგი ეხმარება წითელ არმიას, რომელიც ფაშისტი მხეცის ბუნაგში ამთავრებს წყეული ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურების წმიდა საქმეს.

საქართველოს მშრომელებს, რომლებიც აღზრდილნი არიან ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ, სიამაყით შეუძლიათ სთქვან, რომ 24 წლის წინათ საქართველოში აფრიალებული ძლევამოსილი საბჭოთა დროშა მტკიცე, საიმედო ხელშია.

დიდება დიდ სტალინს!

## ეგვიპტეში ჩერჩილისა და რუზველტის ყოფნის გამო

**ლონდონი**, 21 თებერვალი. (საქდესი). რეიტერის სააგენტოს სპეციალური კაიროელი კორესპონდენტის ცნობით, კაიროში გამოცხადებულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რუზველტი ყირიმის კონფერენციიდან დაბრუნებისას ეწვია ეგვიპტეს და სუეცის არხის რაიონში ამერიკის კრეისერზე ეთათბირა ეგვიპტის მეფე ფარუკს, ეთიოპიის იმპერატორ ჰაილე სელასიეს და საუდის არაბეთის მეფე იბნ-საუდს.

ამერიკაში გამგზავრების წინ რუზველტი ალექსანდრიაში ეთათბირა ჩერჩილს.

## თეთრი სახლის ცნობა ალექსანდრიაში ჩერჩილისა და რუზველტის მოლაპარაკების შესახებ

**ლონდონი**, 20 თებერვალი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს საღამოს თეთრმა სახლმა გამოაცხადა: რუზველტთან ერთად ალექსანდრიაში ყოფნის დროს ჩერჩილმა პრეზიდენტს განუცხადა, რომ ინგლისის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მთელი ძალები გამოიყენოს იაპონიის წინააღმდეგ, როგორც კი დამარცხებულ იქნება გერმანია.

თეთრი სახლის განცხადებაში ნათქვამია: „თუმცა ჩერჩილის შეხვედრა რუზველტთან ეგვიპტეში ოთხ საათზე ნაკლებ ხანს გაგრძელდა, მაგრამ მან უზრუნველჰყო შესაძლებლობა ახალი და დიდმნიშვნელოვანი მოლაპარაკებისა, ყოველ შემთხვევაში, ერთ საკითხზე, რომლის განხილვაც წინათ მათ არ შეეძლოთ. საკითხი ეხებოდა იაპონიას და ომს წყნარ ოკეანეში, სადაც საბჭოთა რუსეთი ნეიტრალურ სახელმწიფოს წარმოადგენს.

ჩერჩილმა გარკვევით განუცხადა პრეზიდენტს, რომ მის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, ყველაფერი რაც მის განკარგულებაშია, გამოიყენოს იაპონელთა წინააღმდეგ, როგორც კი დამარცხებულ იქნება გერმანია, მანამდე კი იგი ყოველივე შესაძლებელს გააკეთებს, რათა გააძლიეროს თავისი ძალები, რომლებიც უკვე მონაწილეობენ ამ ომში".

ალექსანდრიაში შეხვედრას დაესწრო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ედვარდ სტეტინიუსი. ამავე დროს ლონდონიდან ჩაფრინდა ამერიკის შეერთებული შტატების ლონდონელი ელჩი ვაინანტი. ვაინანტი და პრეზიდენტი რამდენიმე ხანს ერთად იყვნენ.

## თეთრი სახლის ცნობა, რომ რუზველტმა წინადადება მისცა დე გოლს ალჟირში შეხვედრის შესახებ

**ლონდონი**, 20 თებერვალი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, დღეს თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: „გენერალი დე გოლი, როგორც საფრანგეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე, პრეზიდენტმა რუზველტმა მიიწვია შეხვედროდა მას ალჟირში".

მიწვევა დე გოლს გადასცა პარიზში ელჩმა კეფერიმ; ეს მიწვევა გაიგზავნა იალტიდან, ყირიმიდან, ექვსი დღის წინ ალჟირში პრეზიდენტის ჩასვლამდე.

თავის წერილში პრეზიდენტმა გენერალს განუცხადა, რომ იგი ძალიან იმედოვნებდა შეხვედროდა მას კონტინენტალურ საფრანგეთში, მაგრამ დროის ნაკლებობა საშუალებას არ აძლევს ჩავიდეს პარიზში, მიუხედავად მთელი მისი სურვილისა. იალტიდან პრეზიდენტის მიერ გაგზავნილი მიწვევა მთავრდებოდა იმ იმედის გამოთქმით, რომ ალჟირში შეხვედრის შესახებ ალტერნატიული წინადადება დააკმაყოფილებდა საფრანგეთის ლიდერს.

პრეზიდენტს მეტად გაუცრუვდა იმედი, როცა ცნობა მიიღო, რომ გენერალს სახელმწიფო საქმეებმა საშუალება არ მისცეს ჩასულიყო ალჟირში".

„საფრანგეთისა და შეერთებული შტატების საერთო ინტერესისა და მნიშვნელობის საკითხები გადაწყვეტას ელოდებიან,—განაცხადა პრეზიდენტმა.—მე ძალიან მინდოდა შევხვედროდი გენერალს, ვიდრე სამშობლოში გამოვემგზავრებოდი".

## საფრანგეთის ოფიციალური ცნობა ალჟირში რუზველტთან შეხვედრაზე დე გოლის უარის შესახებ

**პარიზი**, 21 თებერვალი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს საფრანგეთის მთავრობის მეთაურის კანცელარიის შემდეგ ცნობას:

„12 თებერვალს, 17 საათზე გენერალმა დე გოლმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კეფერი, რომელმაც მას აუწყა რუზველტის წერილის შესახებ. პრეზიდენტმა რუზველტმა ამ წერილში კეფერის დაავალა სინანული გამოეთქვა დე გოლისადმი იმის გამო, რომ არ შეუძლია ჩავიდეს პარიზში, სადაც მას იწვევდა საფრანგეთის მთავრობა 1944 წლის ნოემბრიდან. ამის ნაცვლად, რუზველტმა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაური მიიწვია ალჟირში, რათა იქ შეხვედროდა. თუ დე გოლი მიწვევას მიიღებდა, შეხვედრის თარილი მას ეცნობებოდა უფრო გვიან.

დე გოლმა ელჩს უპასუხა, რომ იგი მოხარული იქნებოდა შეეტყო რუზველტის განზრახვა საფრანგეთის ნავსადგურში ჩასვლის შესახებ. დე გოლმა დასძინა, რომ ამ ნავსადგურში წასვლის შესახებ მისდამი მიმართული მიწვევა მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, როცა მრავალი საქმე მოითხოვს მის ყოფნას პარიზში, კერძოდ, მოკავშირე მთავრობათა სამი ხელმძღვანელის, მათი მრჩეველებისა და ექსპერტების კონფერენციის შემდეგ, კონფერენციისა, რომელშიც საფრანგეთს მონაწილეობა არ მიუღია და რომლის ბევრი მომენტიც მისთვის ჯერ კიდევ უცნობია. დე გოლმა სთხოვა ელჩს დაარწმუნოს რუზველტი იმაში, რომ მას კვლავაც იმედი აქვს იხილოს იგი პარიზში, სადაც მთავრობა და მთელი მოსახლეობა ბედნიერი იქნებიან მიიღონ იგი ყოველ მომენტში.

როგორც ცნობილია, ამ დროიდან მთავრობა და საფრანგეთის სათანადო ორგანოები აქტიურად მუშაობენ, ამზადებენ საფრანგეთსა და მოკავშირე მთავრობებს შორის აზრთა საჭირო გაზიარებას იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესახებ".

## მდგომარეობა გერმანიაში

### შვედური გაზეთების გაშუქებით

**სტოკჰოლმი**, 21 თებერვალი. (საქდესი). გაზეთი „დაგენს ნიუხეტერი" მალმედან იუწყება: „ბერლინიდან ახლახან ჩამოსული ერთი შვედი აღნიშნავს, რომ ბერლინში ახლა გამალებით აგებენ ბარიკადებს. მთავარ ქუჩებში ჯერ კიდევ არის ტრამვაისა და ავტომობილის მიმოსვლა, მაგრამ ყველგან მომზადებულია ლობურები, რომელთა დადგმა სწრაფად შეიძლება. პატარა ქუჩებსა და შესახვევებში გაკეთებულია ბარიკადები და ამ ქუჩებში სიარული მხოლოდ ქვეითად შეიძლება".

გაზეთი „სვენსკა მორგონბლადეტი" სწერს: „მაინის ფრანკფურტიდან სტოკჰოლმში ახლახან ჩამოსული ერთი ლტოლვილი იუწყება, რომ რამდენიმე კვირის წინათ ქალაქში დემონსტრაციები იმართებოდა ერთი მატროსის დაპატიმრების გამო. ნავსადგურის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს და მუშაობა არ განაახლეს, სანამ ეს მატროსი არ გაათავისუფლეს. გაფიცვამ ორ დღეს გასტანა. ამავე დროს გაიმართა დიასახლისთა დემონსტრაცია, ისინი სურსათს მოითხოვდნენ. დემონსტრანტები საპყრობილისაკენ გაემართნენ და მოითხოვდნენ პოლიტპატიმრების განთავისუფლებას. დემონსტრანტები მხოლოდ მას შემდეგ დაიშალნენ, რაც სს-ელთა რაზმმა სროლა აუტეხა მათ. დემონსტრანტთა შორის ბევრია მოკლული და დაჭრილი".

## მუსოლინის „ელჩის" მოხსენება ბერლინში არსებული მდგომარეობის შესახებ

**ლონდონი**, 21 თებერვალი. (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს შვეიცარიულ გაზეთ „სიუისის" ცნობას იმის შესახებ, რომ იტალიელმა პარტიზანებმა ხელთ იგდეს საიდუმლო ცნობა, რომელიც მუსოლინისათვის იყო გაგზავნილი მისი ბერლინელი „ელჩის" ფილიპე ანფუზოს მიერ. ეს ცნობა ნათელს ჰფენს ბერლინში არსებულ მდგომარეობას:

„მდგომარეობა ბერლინში მეტისმეტად ტრაგიკულია, — ნათქვამია ცნობაში,—მაგრამ გერმანელები ისე მოქანცული არიან ფიზიკურად და მორალურად, რომ აჯანყების შესაძლებლობა გამორიცხულია. საშინელმა ფინანსიურმა კრიზისმა ფასი დაუკარგა გერმანიის ფასიან ქაღალდებს, ფულმა სრულიად დაჰკარგა თავისი ღირებულება. მეტისმეტად ბევრი ჯარისკაცი გარბის გერმანიის არმიიდან და სამხედრო-საველე სასამართლოები ყოველდღე ასობით დეზერტირს სჯიან".

დასასრულ ანფუზო აცხადებს, რომ გერმანელებს ყოველ საათობით ელევათ ძალები.

## „ტაიმსი" დასავლეთის ფრონტიდან გერმანელთა დივიზიების გადაყვანის შესახებ

**ლონდონი**, 20 თებერვალი. (საქდესი). „ტაიმსის" სპეციალური კორესპონდენტი პარიზიდან სწერს: ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ „მტრის მთელი რიგი დივიზიები, მათ შორის მე-6 სატანკო არმია, რომელიც არდენთან ბრძოლების დროს გაქრა, ამ უკანასკნელ ხანს წაყვანილ იქნენ დასავლეთის ფრონტის ხაზიდან, რასაც ამჟამად უფრო მცირე ძალები ინარჩუნებენ, ვიდრე ოდესმე საფრანგეთზე ტერიტორიით ზაფხულის შეტევის დროიდან. ამ დივიზიათაგან ზოგიერთი, უეჭველია, რუსეთის ფრონტზე გაიგზავნა".

## მდგომარეობა რუმინეთში

### „არლიუსის" დელეგაციის პროტესტი

**ბუქარესტი**, 18 თებერვალი. (საქდესი). როგორც გაზეთი „ტიმპული" იუწყება, სსრ კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების რუმინეთის საზოგადოების („არლიუსის") დელეგაციამ აკადემიკოს პარხონის, გენერალ რამბიკანუს, სადოვიანუს, ენესკუსა და სხვათა შემადგენლობით 16 თებერვალს ვიზიტი გაუკეთა პრემიერ-მინისტრ რადესკუს და პროტესტი განაცხადა „ფაშისტური მანიფესტაციების წინააღმდეგ, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მოუტანონ ჩვენს კარგ ურთიერთობას ჩვენს დიდ მოკავშირესა და მეზობელთან". მათ მოითხოვეს, რათა მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ამ მანიფესტაციებისათვის.

## რუმინელმა „ლეგიონერებმა" დასჭრეს რუმინეთის შრომის კონფედერაციის თავმჯდომარე

**ბუქარესტი**, 22 თებერვალი. (საქდესი). 20 თებერვალს ბუქარესტის ქარხანა „მალაქსაში" შეიარაღებულ „ლეგიონერთა" (ფაშისტთა) ჯგუფმა, რომელიც ცდილობდა ხელში ჩაეგდო ქარხანა, მუცელში ტყვიით მძიმედ დასჭრა რუმინეთის შრომის კონფედერაციის თავმჯდომარე გიორგი აპოსტოლი.

## ქალაქ კრაიოვას ამბები

**ბუქარესტი**, 18 თებერვალი. (საქდესი). როგორც გაზეთი „რომინია ლიბერა" იუწყება, 17 თებერვალს კრაიოვაში შესდგა „ნაციონალ-დემოკრატიული ფრონტის" მიერ მოწვეული კრება, რომელშიც 10 ათასი მცხოვრები მონაწილეობდა. მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმული იყო მოთხოვნა ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტის მთავრობის შექმნის შესახებ. კრებაზე გადაწყდა გადაეყენებინათ ჯერ კიდევ ანტონესკუს დროს დანიშნული ძველი პრეფექტი და ახალ პრეფექტად აირჩიეს ინჟინერი კელაკი. კელაკის დანიშვნისთანავე ჯარები გარშემოერტყნენ პრეფექტურასა და მეზობელ ქუჩებს და გააკავეს პრეფექტურიდან გასასვლელი ყველა გზა. ამრიგად, ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტის ადგილობრივი საბჭო და ახლად არჩეული პრეფექტი ფაქტიურად დააპატიმრეს. სატელეფონო კავშირი ქალაქ კრაიოვასთან შეწყდა. უკანასკნელი ცნობებით, დაპატიმრებულნი, მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის მოთხოვნით, იმავე დღეს გაათავისუფლეს.

# დიმიტრი ბაქრაძე

55 წლის წინათ გარდაიცვალა ცნობილი ისტორიკოსი, XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ზაქარიას-ძე ბაქრაძე.

დ. ბაქრაძე დაიბადა 1826 წელს, სოფელ ხამშში. თბილისის სასულიერო სემინარიის უკანასკნელი კურსიდან იგი, როგორც უპირველესი წარჩინების მქონე, მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გაგზავნეს. 1851 წელს მან პირველი ხარისხით დაამთავრა აკადემია და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხელი მოჰკიდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

საქართველოს ისტორიული წარსულისადმი სიყვარული დ. ბაქრაძეს ახალგაზრდობიდანვე გამოამჟღავნა. იგი ინტენსიურად ჰკიდებს ხელს საისტორიო მასალების შეგროვებას და უკავშირდება რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებას. 1860 წელს დ. ბაქრაძე მიემგზავრება სვანეთში, რის შედეგადაც აქვეყნებს შესანიშნავ მეცნიერულ ნაშრომს „Сванетия", რომელსაც აკადემიკოსმა მ. ბროსემ მაღალი მეფასება მისცა.

სამეცნიერო ასპარეზზე დ. ბაქრაძის გამოსვლისას ბროსეს მდიდარი მოღვაწეობა თითქმის მთავრდებოდა, თავის ღირსეულ მემკვიდრეს მარი ბროსე 1866 წელს სწერდა: „ძალიან დავბერდი, და ამისთვის მწადიან, რომ ყმაწვილმა ყმამ გაათაოს ჩემგან დაწყებული".

დ. ბაქრაძემ მოკლე ხანში მიიპყრო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ყურადღება და მასთან ცხოველი ურთიერთობა გააბა. უკვე მომწიფებული მკვლევარი, აკადემიის დავალებით, 1873 წელს იგი გაემგზავრა სამეცნიერო მივლინებაში გურიასა და აჭარაში. ამ მივლინების შედეგად დ. ბაქრაძემ დასწერა უკვდავი შრომა „Археологическия путешествия по Гурии и Аджарии", რომელიც მეცნიერებათა აკადემიამ 1878 წელს გამოაქვეყნა პეტერბურგში. ამ შრომით აღტაცებულმა ბროსემ აკადემიის ერთ სხდომაზე განაცხადა: „ნიჭით, ცოდნითა და საქმიანობით ბაქრაძემ სავსებით დააკმაყოფილა მეცნიერებათა აკადემიის სურვილი. ამიტომ იმედი მაქვს, რომ აკადემია მიანდობს თავის მუდმივ მდივანს — გამოუცხადოს აკადემიის სახელით ბაქრაძეს მადლობა, გადასცეს, რომ აკადემიის წევრები უცხადებენ მას თავიანთ პატივისცემას და სრულ კმაყოფილებას".

ამ ნაშრომით ბაქრაძემ დაამტკიცა სახელოვან ისტორიკოს ვახუშტის რამდენიმე მოსაზრება და დასავლეთ საქართველოს შესახებ საისტორიო მასალების ულარიბეს ფონდს დიდი შენაძენი უსახსოვრა.

1873-75 წლებში დ. ბაქრაძე თანამშრომლობდა კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიაში. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო დიდტანიანი აქტების (Акты) პირველი 5 ტომის გამოცემაში. 1875 წელს შეადგინა ფრიად საინტერესო და დიდად სასარგებლო აღწერილობა „Кавказ в древних памятниках христианства", რისთვისაც რუსეთის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ იგი ოქროს მედლით დააჯილდოვა. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ღირსეულად შეაფასა ნიჭიერი ისტორიკოსის ღვაწლი და 1879 წელს თავის წევრ-კორესპონდენტად აირჩია.

დ. ბაქრაძემ დააფუძნა ე. წ. საეკლესიო მუზეუმი, რომელშიც შეგროვილი იქნა ქართული მატერიალური კულტურისა და მწიგნობრობის ძეგლები. საეკლესიო მუზეუმმა შეინახა მრავალი განძეულობა, ათასობით ხელნაწერი, რომლებიც ახლა სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ძეგლთა ფონდს ამდიდრებენ.



დ. ბაქრაძე მონაწილეობდა ყველა ორგანიზაციაში, რომელიც, ასე თუ ისე, მოწოდებული იყო სარგებლობა მოეტანა საქართველოსა და კავკასიის ისტორიის შესწავლისათვის. იგი ერთერთი დამაარსებელი იყო „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებისა" და მუშაობდა მის ვიცე-თავმჯდომარედ. იგი აგრეთვე თავმჯდომარეობდა რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის მომწყობ ადგილობრივ კომიტეტს. ამ ყრილობაზე, რომელიც 1881 წელს თბილისში ჩატარდა, პროფესორ ალ. ცაგარელთან ერთად დ. ბაქრაძემ წაიკითხა ფრიად საინტერესო მოხსენება „ქართული პალეოგრაფია".

დ. ბაქრაძის კალამს ეკუთვნის 75-მდე გამოქვეყნებული ნაშრომი საქართველოს ისტორიიდან. 1889 წელს მან დაბეჭდა პირველი ნაწილი თავისი წიგნისა „ისტორია საქართველოსი".

თავისი დროის მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად დ. ბაქრაძე აქტიური მოღვაწე იყო საქართველოში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა.

40 წლის დაუცხრომელი მოღვაწეობის შემდეგ, 1890 წელს, 10 (23) თებერვალს სახელოვანი მეცნიერი გარდაიცვალა. დიდმა ილიამ მას „დიმიტრი თავდადებული" უწოდა. ილია ჭავჭავაძე „ივერიის" ფურცლებზე სწერდა: „დიდი უბედურება გვეწია! გულმა შემოგვკვნესა და საზარელი გულსაწყვეტი ხმა გაისმა. ელვასავით შემოირბინა ამ ხმამ მთელი ქვეყანა და მისწვდა ყოველ კუთხეს, ყოველ კუნჭულს, სადაც-კი ერთი ქართველი მაინც არის..."

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დღეს შესრულებულია სახელოვანი მოღვაწის ოცნება: აღორძინებული საბჭოთა საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა მტკიცე და ურყევ საფუძველზე დგას.

**მ. დუმბაძე**

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

## ქართული მუსიკის საღამოები მოსკოვში

**მოსკოვი**, 19 თებერვალი. (საქდესი). 18 თებერვალს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში წელს პირველად გაიმართა ქართული მუსიკის კონცერტი. პროგრამა შესდგებოდა იმ ნაწარმოებებისაგან, რომლებმაც მაღალი შეფასება მიიღეს ამას წინათ თბილისში ჩატარებულ ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადაზე. მოსკოვის კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად დედაქალაქში ჩამოვიდა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორებისა და მსახიობების ჯგუფი.

გუშინდელ კონცერტში ცენტრალური ადგილი დაიკავა ა. ბალანჩივაძის ახალმა სიმფონიამ, რომელიც დიდი ოსტატობით შეასრულა სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, დირიჟორობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აზმაიფარაშვილი.

მოსკოველები გაეცნენ აგრეთვე კომპოზიტორ ა. მაჭავარიანის ახალ ნაწარმოებს — კონცერტს ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. სოლისტად გამოვიდა გაიანე მაჭუტაძე.

კონცერტის პროგრამაში შედიოდა არაყიშვილისა და თაქთაქიშვილის ვოკალური თხზულებანი. იმღერეს საქართველოს სახალხო არტისტებმა ე. სოხაძემ და პ. ამირანაშვილმა.

მოსკოვში კონცერტების დამთავრების შემდეგ მუსიკალური ხელოვნების ქართველი ოსტატები ლენინგრადს გაემგზავრებიან.

## ლექცია

**24 თებერვალს, საღამოს 8 საათზე**, საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტის დარბაზში შესდგება ამხ. კანტერის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა"**.

## მწერალთა კავშირში

23 თებერვალს, დღის 1 საათზე, მწერალთა კავშირში გ. ცაგარელი წაიკითხავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსულ თარგმანს. კითხვას აწყობს მწერალთა კავშირის პოეტების სექცია.

* * *

24 თებერვალს სხვიტორში, აკაკის სახლში გაიმართება დიდი პოეტის გარდაცვალებიდან 30 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. თბილისიდან სხვიტორს მიემგზავრებიან მწერლები და მსახიობები.

## თეატრებში

**სახელმწიფო ოპერა**—24/II—„პატარა კახი". **რუსთაველის სახელობის**—23, 24/II—„ხევისბერი გოჩა". **მარჯანიშვილის სახელობის** — 23/II—„ბაგრატიონი", 24/II—„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი". **ახუნდოვის სახელობის** —23/II—„ვაფა", 24/II—„ყაჩაღი ნაბი". **სახ. კულტურის**—24/II — „გაგრძელება იქნება". **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—23, 24/II —„შემოსავლიანი ადგილი".

## კინოებში

**23 თებერვალს:** რუსთაველის **სახელობის** — „ივანე მრისხანე". **ოქტომბერი**—„ოთხთა გული". **დამკვრელი**—„სიმღერა რუსეთზე". **კომკავშირელი**—„გიორგი სააკაძე" (I სერია). **სპარტაკი**—„გიორგი სააკაძე" (მე-2 სერია). **ლუქსემბურგის სახელობის** — „ლენინი ოქტომბერში". **26 კომისრის სახელობის**—„პარის მეტლე".

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ბ. ნანიტაშვილი**

დედა მარო, და ვარია, ბებია ჰარინე იობაშვილი, დეიდა ფენო მაჩაიძე ოჯახით იუწყებიან ექიმ **ირაკლი ნიკოლოზის-ძე ხირაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/II, 4 ს. ვეძინის, 4.

მ. გახოკიძე, ლ. ჩარუა, მ. ვენცლიცკი, გ. სვანიძე, ა. სკოროხოდოვი, ვ. შენგელიძე, გ. კარაპეტიანი, ნ. შევჩენკო, შ. ხომასურიძე, ვ. ძიძიგური იუწყებიან გ. ფუტკარაძის მამის **ბესარიონის** გარდაცვალებას.

დედა ლიუდმილა, მამა ბიძინა ჩიხლაძეები იუწყებიან, რომ 25/II, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ზურაბ ჩიხლაძის** პანაშვიდი.

შვილები ბარდღა, ცუცა, შურო, თადიკო, რძალი საშა, სიძე ნიკოლოზ უგრელიძე, შვილიშვილები მიშა, ნოდარ, კუკური, ჯემალ იუწყებიან **კატო გელოვანი-ჩარკვიანის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი იუწყება ამავე ფაკულტეტის თანამშრომლის ნორას მამის **მოსე ბაინდურაშვილის** გარდაცვალებას.

დები ალექსანდრა მატარაძე, ლიზა ზუბაშვილი, დისწულები მარგარიტა, ოთარ იუწყებიან **კესარია ლევანის-ასულ მამფორიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 24/II, 5 ს. ჯავახიშვილის, 5.

შვილები თინა, დავით, სიძე ლ. ბერულავა იუწყებიან **ფაციკო თეოფილეს-ასულ ხეცაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24/II, 7 ს. გამოსვენება 25/II, 3 ს. ნეკრასოვის, 1.

გ. ჯიბლაძე, გ. ხაჟალია, რ. ჯინჯოლია, გ. ჩხეიძე, ა. კორძაძე, ქ. მეძველია, დ. კოპალიანი, ს. კარსანიძე, გ. კოკოჩაშვილი, გ. დევდარიანი, ვ. სულავა, გ. დადიანი იუწყებიან ქუთაისის პედინსტიტუტის დირექტორის, დოცენტ ლუკა ჭელიძის დედის **ევას** გარდაცვალებას.

მთავარი საავთიაქო სამმართველოს საკონტროლო ანალიზური ლაბორატორიის თანამშრომლები იუწყებიან ნინო ბელელაძის მამის **ვარლამ ბელელაძის** გარდაცვალებას.

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივი იუწყება ნინო ოდილავაძის მეუღლის **ილია დიდებულიძის** გარდაცვალებას.

ძმა პლატონ, რძალი ევა ბრეგვაძე შვილებით ლამარათი და გულნარათი იუწყებიან **ბესო გიორგის-ძე მარგველანის** გარდაცვალებას.

მეუღლე მიხეილ გამყრელიძე შვილებით და სიძეებით იუწყება **მარო გრიგოლის-ასულ გამყრელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი, 23, 24/II, 7 ს. გამოსვენება 25/II, 3 ს. კამოს, 115.

მშობლები ვ. და ა. ზარგარიანები იუწყებიან **ნარას** გარდაცვალებას. გამოსვენება 23/II, 5 ს. ჯაფარიძის, 10.

**დაკარგულია** თბილისის მოზრდილთა მე-7 საშუალო სკოლის მოწმობა ბეჟიაშვილი ი. ჩ. ა.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800

უე 00238